

საზღვაო ინციდენტების/შემთხვევების კატეგორიათა ცხრილი

კატეგორია	კატეგორიის ინგლისური შესატყვისი	კატეგორიის აღწერა
გემის ჩაძირვა	Foundered (FD)	გემის ჩაძირვა, გემში წყლის დენის, მისი ორად გაპობის ან სხვა მიზეზის გამო.
გემის მეჩერზე დაჯდომა	Wrecked/Standart (WS)	გემის მეჩერზე დაჯდომა, წყალქვეშა წინააღმდეგობასთან ან ფსკერთან გემის შეხება.
შეხება	Contact (CT)	გემის შეხება საბურღ პლატფორმასთან, ნავმისადგომთან და/ან დამაგრებულ ან საბუქსირე ობიექტთან, გარდა სხვა გემთან ან ზღვის ფსკერთან შეხებისა.
შეჯახება	Collision (CN)	გემის შეჯახება სხვა გემთან იმის მიუხედავად, ეს უკანასკნელი მოძრაობს, დგას (მ.შ. ლუზაზე) თუ მიზმულია.
ხანძარი ან აფეთქება*:	Fire or explosiont (FX):	გემზე ხანძრის გაჩენა ან აფეთქება:
ტვირთისა, სათავსში;	Cargo	ტვირთისა, გემბანზე, სატვირთო სათავსში ან სავენტილაციო სატვირთო სისტემაში;
სამანქანე სათავსში;	MCHY;	სამანქანე სათავსში;
სატუმბო განყოფილებაში;	PMP	სატუმბო განყოფილებაში;
სხვა	Other	დანაშენში, სანავიგაციო ჯიხურში, საკუჭნაოში და სხვა, გარდა ამ პუნქტის “5.1 – 5.3” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულისა.
გემის უგზო-უკვლოდ დაკარგვა	Missing (MS)	გემი გამოცხადებულია უგზო-უკვლოდდაკარგულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

	კორპუსის ან მექანიზმების დაზიანება	Hull (HD) Machinery damage (MD)	გემის კორპუსის დაზიანება ან მისი მექანიზმების გაჩერების შედეგად გემის დაკარგვა ან დაზიანება.
	კატეგორია დაუდგენელი	Unclassified (Other)	საზღვაო ინციდენტი, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიას და მისთვის სხვა კატეგორიის მიკუთვნება შეუძლებელია საზღვაო ინციდენტის შესახებ საკმარისი ინფორმაციის უქონლობის გამო.

*შენიშვნა\*:* თუ ხანძარი/აფეთქება გამოიწვია გემების შეჯახებამ, მეჩერზე დაჯდომამ ან სხვა მიზეზმა, შესაბამისად, აღნიშნულ საზღვაო ინციდენტს მიეკუთვნება კატეგორია „შეჯახება“, „გემის მეჩერზე დაჯდომა“ და.შ.